**ინფორმაცია ცირკულარულ მიგრაციასთან დაკავშირებით გამართული უწყებათაშორისი შეხვედრის შესახებ**

**18 იანვარი, 2019 წელი**

2019 წლის 18 იანვარს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა უწყებათაშორისი შეხვედრა, რომელსაც მინისტრის მოადგილე, ვახტანგ მახარობლიშვილი გაუძღვა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ:

**ირინე აბულაძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
**ნათია გვირჯიშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
**გიორგი ჯაში** - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია)
**გიორგი ბუნტური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო *(შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო);*
**ქრისტინა გოროდნიჩევა** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
**მერი გვერდწითელი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
**ვეკა მოდებაძე** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
**არჩილ ყარაულაშვილი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
**სალომე შაფაქიძე** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
**გიორგი ტაბატაძე** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
**ნინო ბარათაშვილი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
**თეონა კვანტალიანი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
**ვიქტორია ბაიკოვა** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
**თამარ იორდანიშვილი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო შრომითი/ცირკულარული მიგრაციის სფეროში სხვადასხვა ქვეყანასთან თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს და ამ მიმართულებით დასაგეგმ ღონისძიებებს.

<u>**ვახტანგ მახარობლიშვილმა (საგარეო საქმეთა სამინისტრო)**</u> მონაწილეებს გააცნო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, აქტიურად შეუწყოს ხელი ცირკულარულ მიგრაციას და საქართველოს მოქალაქეების ლეგალურ დასაქმებას საზღვარგარეთ. მის მიერ აღინიშნა, რომ ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა არის უკანონო მიგრაციასთან და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდასთან ბრძოლის ერთ-ერთი ინსტრუმენტი და

ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩარჩოს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად დასაქმებისა და ამ პროცესის მართვისთვის. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა; საკითხი გათვალისწინებულია სხვადასხვა დონის შეხვედრების სასაუბროებში. ვ. მახარობლიშვილმა ხაზი გაუსვა საფრანგეთთან ხელმოწერილი შეთანხმების ამოქმედების მნიშვნელობას და აქვე დასძინა, რომ საჭიროების შემთხვევაში, საგარეო საქმეთა სამინისტრო მზად არის დაგეგმოს დამატებითი კონსულტაციები ფრანგულ მხარესთან. მისი თქმით, შესაძლებელია ასევე შეთანხმების შაბლონური პროექტის შემუშავება, პარტნიორი-ქვეყნებისთვის გადაცემის მიზნით.

მონაწილეებს ეთხოვათ ცირკულარულ მიგრაციასთან, მათ შორის შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა.

<u>გიორგი ბუნტურმა (ჯანდაცვის სამინისტრო)</u> მიმოიხილა ცირკულარული მიგრაციის სფეროში სხვადასხვა ქვეყანასთან თანამშრომლობის არსებული ვითარება:

- პოზიტიურად შეფასდა მიმდინარე თანამშრომლობა <u>ისრაელთან</u> და გასული წლის დეკემბერში ჯანდაცვის სამინისტროს დელეგაციის მიერ განხორციელებული ვიზიტი; ვიზიტის დროს, ისრაელის მხარემ გამოთქვა მზადყოფნა საქართველოსთვის 100 სამუშაო კვოტის გამოყოფისა და ორმხრივი შეთანხმების პროექტის გაზიარებისთვის.
- აღინიშნა საპილოტე პროექტი <u>პოლონეთში</u>, რომელიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით უკვე 1,5 წელი წარმატებით ხორციელდება; პროექტით კმაყოფილია როგორც დამსაქმებლები, ისე დასაქმებული პირები, რომელთა ნაწილი უკვე დაბრუნდა და მუშაობას საქართველოში განაგრძობს. პარალელურად, ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მომზადდა შეთანხმების პროექტი და მიეწოდა პოლონურ მხარეს. შეთანხმების ხელმოწერა იგეგმებოდა 2018 წლის ბოლომდე, პოლონეთის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს; თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პოლონეთში მიგრაციის პოლიტიკის, მათ შორის შრომითი მიგრაციის გადახედვა დაიწყო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროცესზე, დროებით შეაჩერა საქართველოსთან შეთანხმების გაფორმების პროცედურა.
- პოლონეთის მსგავსი პროექტის განხორციელება იგეგმებოდა <u>ესტონეთში</u>, თუმცა უცხოელი შრომითი მიგრანტებისთვის გამოყოფილი წლიური კვოტების მყისიერი შევსების გამო, მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. ამავდროულად, საქართველო-ევროკავშირის ბიზნეს-საბჭომ (EUGBC) გამოთქვა ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებისთვის მზადყოფნა.
- დაიწყო თანამშრომლობა <u>საბერძნეთსა და პორტუგალიასთან</u>; 2019 წლის პირველ ნახევარში დაგეგმილია ჯანდაცვის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი პორტუგალიაში.
- IOM-ის მეშვეობით შედგა კომუნიკაცია <u>სკანდინავიურ ქვეყნებთან</u>, თუმცა მათი მხრიდან ინტერესი გამოხატული არ ყოფილა.
- ასევე, IOM-ის მეშვეობით, კონსულტაციები დაიწყო <u>ლიეტუვასთან</u> და ლიეტუვის შესაბამის უწყებაში გამოყოფილ იქნა საკონტაქტო პირი, თუმცა პროცესს განვითარება

არ ჰქონია; აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ლიეტუვასთან თანამშრომლობა ორმხრივ ფორმატში გაგრძელდეს.

- **საფრანგეთთან** გაფორმებული შეთანხმებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შეთანხმების ამოქმედებისთვის მნიშვნელოვანია რიგი დეტალების დაზუსტება (მაგალითად, რომელია საფრანგეთში მოთხოვნადი პროფესიები, როგორ მოხდება არსებული ვაკანსიების საქართველოსთვის გაზიარება და ა.შ.); კარგი იქნება, თუ ამ მიზნით ფრანგულ მხარესთან შედგება კონსულტაციები, თბილისში ან პარიზში.
- აღინიშნა **გერმანიაში** 2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებში გერმანიაში დასაქმდნენ ექთნები და მომსახურე პერსონალი; პროექტმა გამოავლინა ამ პროცესის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. კერძოდ, თუ მომსახურე პერსონალი შეძენილი ცოდნით და გამოცდილებით დაბრუნდა საქართველოში და შესაბამის სფეროში დასაქმდა, ექთნების შემთხვევაში, მათი კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით გარკვეული სირთულეები შეიქმნა, რადგან მათ გერმანიაში უკეთესი წინადადებები მიიღეს.

გიორგი ბუნტურმა ყურადღება ასევე გაამახვილა ჯანდაცვის სამინისტროში ცირკულარულ მიგრაციაზე მომუშავე ადამიანური რესურსის ნაკლებობაზე, რაც, რამდენიმე ქვეყანასთან შეთანხმებების გაფორმების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაართულებს მათი შესრულების პროცესს.

ასევე, გიორგი ბუნტურმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს ბაზარზე იმ პროფესიების იდენტიფიცირება, რომელთა წარმომადგენლების გაშვება ქართულ მხარეს არ გაუჭირდება. გარდა ამისა, მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო, პოლონეთისთვის გადაცემული შეთანხმების მაგალითზე მოამზადებს შაბლონურ პროექტს, ქვეყნებისთვის გადაცემის მიზნით.

პასუხად, **ვახტანგ მახარობლიშვილმა (საგარეო საქმეთა სამინისტრო)** შემდეგ ასპექტებს გაუსვა ხაზი:

- საფრანგეთთან კონსულტაციებს რაც შეეხება, დროის მოგების მიზნით, უმჯობესია განხილულ იქნას პარიზში უწყებათაშორისი დელეგაციის ვიზიტის შესაძლებლობა.
- მნიშვნელოვანია ცირკულარულ მიგრაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის გატარება, რათა საზოგადოება ფლობდეს სწორ ინფორმაციას საზღვარგარეთ დასაქმების პირობებისა და კრიტერიუმების თაობაზე.
- შრომითი მიგრანტების არასაკმარისი კვალიფიკაციის შემთხვევაში, სახელმწიფო მზად უნდა იყოს უფასო გადამზადების კურსები უზრუნველყოს.
- უახლოეს მომავალში, საგარეო საქმეთა სამინისტრო საზღვარგარეთ საელჩოებს მისცემს ინსტრუქციას ადგილსამყოფელ/დაფარვის ქვეყნებში მოთელვითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, რათა განსაზღვრულ იქნას სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები, ქვეყნებში არსებული პრაქტიკა და ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების შესაძლებლობა, მოთხოვნადი პროფესიები და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნებს გადაეცემათ შაბლონური შეთანხმების პროექტი. იმ შემთხვევაში,

თუ ქვეყანას არ აქვს ცირკულარული მიგრაციის სფეროში შეთანხმებების გაფორმების პრაქტიკა, შესაძლებელია მოხდეს შეთანხმება ალტერნატიულ დოკუმენტზე (მემორანდუმი, სამოქმედო გეგმა ან სხვ.) კონსულტაციების შედეგად შესაძლებელი გახდება პრიორიტეტული ქვეყნების განსაზღვრა.

- მნიშვნელოვანია, შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს სამოქმედო გეგმას თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით, ასევე, საჭიროებისამებრ ქვეყნებში სამუშაო ვიზიტებს განახორციელებს.

ვახტანგ მახარობლიშვილმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ მთავრობისთვის საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ჯანდაცვის სამინისტროში ადამიანურ რესურსების კუთხით არსებული პრობლემები დროულად მოგვარდება. მისი თქმით, აღნიშნული პრობლემის შესახებ აუცილებლად ეცნობება საგარეო საქმეთა მინისტრს, რათა საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას ორ მინისტრს შორის.

<u>ნინო ბარათაშვილმა (საგარეო საქმეთა სამინისტრო)</u> აღნიშნა, რომ ერთ-ერთ შეხვედრაზე საქართველოში ესტონეთის ელჩმა, რომელიც საინფორმაციო ქსელიდან უკვე ფლობდა ინფორმაციას ცირკულარულ მიგრაციის სფეროში საქართველოს გეგმების შესახებ, განაცხადა, რომ ესტონეთთან ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერა ხანგრძლივ შიდა პროცედურებთან არის დაკავშირებული და სურვილის შემთხვევაში, უპრიანია ურთიერთგაგების მემორანდუმის (ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის) გაფორმება.

<u>ირინე აბულაძემ (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო)</u> განაცხადა, რომ ახალი საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, უკვე დაგეგმილია მოკლევადიანი გადამზადების კურსები. თუ დროულად მოხდება პრიორიტეტული პროფესიების იდენტიფიცირება, განათლების სამინისტრო აუცილებლად გაითვალისწინებს მათ კურსების დაგეგმვისას. ამჟამად, პირველ პრიორიტეტად მშენებლობის სფერო განიხილება. ირინე აბულაძის თქმით, პრობლემად რჩება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება, თუმცა გაზაფხულზე იგეგმება ახალი მარეგულირებელი წესის დამტკიცება.

თავის მხრივ, <u>გიორგი ბუნტურმა (ჯანდაცვის სამინისტრო)</u> აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტროც უზრუნველყოფს გადამზადების კურსების ჩატარებას, თუმცა მსგავსი კურსები მხოლოდ გარკვეული პროფესიებისთვის არის გათვალისწინებული და შესაბამისად, ამ პროცესში განათლების ჩართულობა ძალზე მნიშვნელოვანია.

<u>გიორგი ჯაშმა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია)</u> დააფიქსირა შემდეგი:

- მნიშვნელოვანია ცირკულარულ მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება ინდივიდუალურად ორმხრივ ფორმატში, ვინაიდან "პარტნიორობა მობილობისთვის" დეკლარაციის სამომავლო პერსპექტივები ამ ეტაპზე გაურკვეველია.
- <u>ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს შრომის ბაზრების შესწავლის მიზნით, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ინიციატივით უკვე ჩატარდა კვლევა, რომლის პრეზენტაცია 2018 წლის ნოემბერში გაიმართა.</u> ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ სკანდინავიურ ქვეყნებში არსებული დასაქმების კრიტერიუმების

დაკმაყოფილება საქართველოს მოქალაქეებს შესაძლოა გაუჭირდეს; ამ თვალსაზრისით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პირობები შედარებით უფრო ხელმისაწვდომია. ამავდროულად, ქვეყნებში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, მსგავსი კვლევა რეგულარულად უნდა განხორციელდეს. კვლევა ასევე მოიცავს საქართველოში არსებული კვალიფიკაციების შეფასებას და ამდენად მისი გამოყენება სამიზნე ქვეყნების განსაზღვრისას სასარგებლო იქნება.

- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში უკვე შექმნილია შესაბამისი სამუშაო ჯგუფი და შესაძლებელია მისი გამოყენება ცირკულარული მიგრაციის სფეროში ქვეყნებთან კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის მიზნით.
- საფრანგეთთან შეთანხმების ამოქმედების თაობაზე კონსულტაციების დროს ფრანგულმა მხარემ შესაძლოა დააყენოს ფრანკოფონიის ქვეყნების მოქალაქეების საქართველოში დასაქმების საკითხი; ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შრომითი მიგრანტების დაბრუნების და მათი რეინტეგრაციის და გამოცდილების ინვესტირების პროცედურები, რაც ინტელექტის გადინებას შეუშლის ხელს.
- ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმების გაფორმებამდე, შესაძლებელია ცირკულარული მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის პროგრამაზე შეთანხმება, რაც ორმხრივ თანამშრომლობას საფუძველს ჩაუყრის და შეთანხმების ხელმოწერისთვის ნიადაგს მოამზადებს.
- კარგი იქნება, თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილი ყოველწლიური კონსულების შეხვედრის დღის წესრიგს დაემატება ცირკულარული მიგრაციის კომპონენტი; ასევე, თუ სასწავლო ცენტრში ჩატარდება ლექციები მიგრაციის მართვის საკითხებზე იმ დიპლომატებისთვის, რომლებიც როტაციის წესით საზღვარგარეთ სამუშაოდ მიემგზავრებიან.
- რაც შეეხება საინფორმაციო კამპანიას, შესაძლებელია ცირკულარული მიგრაციის თაობაზე გზავნილების ასახვა მოხდეს უვიზო რეჟიმის თაობაზე ბროშურაში; ასევე მნიშვნელოვანია ცხელი ხაზის ამოქმედება და ამ თემაზე მოსახლეობასთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება.

**გიორგი ბუნტურმა (ჯანდაცვის სამინისტრო)** აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტროში ცხელი ხაზი უკვე მუშაობს, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ საჭირო ინფორმაციის მიღება. ამასთან, უკვე დაწყებულია საზღვარგარეთ მუშაობის მსურველთა რეგისტრაცია, რომლის დროსაც თითოეულ მოქალაქეს უტარდება გასაუბრება, მათთვის არსებული წესებისა და პირობების გაცნობის მიზნით.

შეხვედრის შედეგები/რეკომენდაციები:

- საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოებს დაეგზავნებათ ინსტრუქცია ადგილსამყოფელ/დაფარვის ქვეყნებში მოთელვითი სამუშაოების ჩატარებისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის მიზნით; კონსულტაციების შედეგად ასევე მოხდება ქვეყნებში მოთხოვნადი პროფესიების იდენტიფიცირება;
- ჯანდაცვის სამინისტრო მოამზადებს ორმხრივი შეთანხმების შაბლონურ პროექტს, რომელიც გადაეცემა პარტნიორ-სახელმწიფოებს;

- იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ ქვეყნებს არ აქვთ ცირკულარული მიგრაციის სფეროში ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების პრაქტიკა, განხილული იქნება ალტერნატიული დოკუმენტის (თანამშრომლობის მემორანდუმი, სამოქმედო გეგმა და ა.შ.) გაფორმების შესაძლებლობა;
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში არსებული შესაბამისი სამუშაო ჯგუფი დაგეგმავს ქვეყნებთან თანამშრომლობის აქტივობებს, რაც მათ შორის მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაშიც გაიწერება; **ასევე მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის შესაბამისმა წევრებმა განახორციელოს ვიზიტები იმ ქვეყნებში, რომლებიც გამოხატავენ საქართველოსთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას**;
- დაიგეგმება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ვიზიტი საფრანგეთში, ხელმოწერილი შეთანხმების ამოქმედების პრაქტიკული ასპექტების განხილვის მიზნით;
- ცირკულარული მიგრაციის საკითხი ასახული იქნება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის თაობაზე ბროშურაში; **ასევე მნიშვნელოვანია, საკითხი გათვალისწინებულ იქნას საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრების დროს;**
- საქართველოს კონსულების მომდევნო შეხვედრაზე გათვალისწინებული იქნება პანელი ცირკულარული მიგრაციის შესახებ; **განხილულ იქნას სასწავლო ცენტრში ცირკულარული მიგრაციის საკითხზე ლექციების/სემინარის ჩატარების შესაძლებლობა**.